ქ. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლა

კლასის მართვის პრობლემები I კლასში და მისი დაძლევის გზების ძიება.

დაწყებითი კლასის პედაგოგი - მანანა შეყილაძე

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

თავი I 4

შესავალი 4

1.1 ანოტაცია 4

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობის დასახელება 5

1.3 პრობლემა და საკვლევი საკითხი 6

1.4 კვლევის მიზანი 6

1.5 კვლევის ამოცანა 7

საკვლევი კითხვები 7

თავი II 8

ლიტერატურის მიმოხილვა 8

2.1 დისციპლინის არსი 8

2.2 კლასის მართვის სტილები 11

2.3 ეროვნული სასწავლო გეგმა 13

თავი III 14

მეთოდოლოგია 14

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი 14

3.2 შერჩევა 14

3.3 მონაცემთა შეგროვება 15

3.3 კვლევის ვადები 17

თავი IV 18

მონაცემთა ანალიზი 18

4.1 კითხვარის ანალიზი 18

4.2 ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან 22

4.3 ინტერვიუ მასწავლებლებთან 23

4.4 დაკვირვება 23

კვლევის მიგნებები 24

თავი V 24

ინტერვენცია და მისი შეფასება 24

5.1 შესაძლო ინტერვენციები 24

5.2 ინტერვენციების აღწერა 24

5.3 ინტერვენციების შეფასება 28
თავი VI 30
6.1 კვლევის შეზღუდვა 30
6.2 რეკომენდაციები 30
6.3 დასკვნა 30
ბიბლიოგრაფია 32
დანართები 32
დანართი #1 კითხვარი მშობლებისთვის 32
დანართი #2 კითხვარი მოსწავლეებისთვის 34
დანართი # 3 კითხვები ინტერვიუსთვის (მასწავლებლები) 37
დანართი #4 სურათები 37
რეფლექსია 44

თავი I

შესავალი

1.1 ანოტაცია

"ზოგადი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად დაწყებითი და საბაზო განათლება მოზარდისათვის სავალდებულოა. შესაბამისა, ყველა მოსწავლეს სკოლაში სწავლის განსხვავებული მოტივაცია აქვს. მათი მოტივირების ხელშემწყობი ფაქტორები კი პირველ რიგში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის და სასწავლო პროცესის ეფექტური მენეჯმენტია

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში, კლასის მართვის საკითხებთან დაკავშირებით აქტიურად იქმნება სხვადასხვა გზამკვლევები და იწერება უამრავი სტატია, პრობლემა კვლავ აქტუალურია. ამ საკითხზე პედაგოგების, განათლების ექსპერტების და საზოგადოების აზრი იყოფა. ნაწილი მიიჩნევს, რომ წარმატებულ მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმა კლასის მართვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. მეორე ნაწილი კი უპირატესობას იმპროვიზაციას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ წინასწარ შედგენილი გეგმა არაეფექტურია და არ იძლევა მოქნილობის საშუალებას. თუმცა, დღეს არ არსებობს სართო აზრი იმის შესახებ, კლასის მართვის რომელი სტრატეგიაა განსაკუთრებით ეფექტური, რომლის მეშვეობითაც საბოლოოდ მოგვარდებოდა მოსწავლეთა დისციპლინური და აკადემიური პრობლემები.

საკლასო სივრცეში დისციპლინის შენარჩუნება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. თუ საკლასო ოთახში წესრიგის დამყარება შეუძლებელია, რთულია მასწავლებელმა სწავლება განახორციელოს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს დიდი როლი აკისრია მართოს კლასი და შექმნას სასწავლო გარემო. მოსწავლეების მხრიდან დისციპლინის დარღვევა სხვადასხვა მიზეზებს უკავშირდება, ამიტომ მასწავლებლისთვის ამის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ეფექტურად შეძლოს კლასის მართვა.

მოსწავლის მხრიდან დისციპლინის დარღვევა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელს შეეძლოს მოსწავლის ქცევის

დარღვევის მოტივების ამოცნობა, ასევე შეეძლოს სწორი მიდგომების გამოყენება არასასურველი ქცევის აღმოსაფხვრელად.

თუმცა ამ პროცესში მხოლოდ მასწავლებელი ვერ იქნება ეფექტური, ამიტომ ჩართული უნდა იყოს ოჯახიც და ყველა ის მხარე, რომელიც მოსწავლის აღზრდაში იღებს მონაწილეობას.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობის დასახელება

საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ დისციპლინის საკითხები ყოველთვის იწვევდა მეცნიერების დაინტერესებას, სხვადასხვა დროს დისციპლინა მოიცავდა სხვადასხვა ნორმებს. საკლასო ოთახში დისციპლინის უზრუნველსაყოფად მეცნიერებმა შექმნეს კლასის მართვის სხვადასხვა სტილი (უსაფრთხო სკოლა 2016, 29). მნიშვნელოვანია მასწავლებელს შეეძლოს მოსწავლის ქცევის გამომწვევი მოტივის აღმოჩენა და შესაბამისი მოქმედება საკლასო ოთახში. ასევე, აქტუალურია ამ საკითხით დაინტერესება იმ კუთხით, რომ თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს კლასში წესრიგის დამყარებას და სიტუაცია ქაოსურია, მოსწავლეები ვერ იღებენ იმ გაკვეთილიდან იმას, რაც უნდა მიიღონ და სწავლების დონეც დაბალია (მარზანო 2009, 1).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის მისიაა:

„ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.“

ვფიქრობ, რომ პირველი კლასიდანვე უნდა ხდებოდეს მოსწავლის ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და სხვა. ყოველივე ამას კი ხელს უშლის კლასში მოსწავლეთა მხრიდან ქცევის წესების დარღვევა, ვინაიდან მჭირდება ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

დისციპლინის გასაუმჯობესებლად ეფექტიანი გზების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, რათა შეინარჩუნოს კლასში დისციპლინა, უსაფრთხო და პატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო.

1.3 პრობლემა და საკვლევი საკითხი

როგორც ზემოთ ვახსენე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე და მე ვფიქრობ, რომ უკვე პირველ კლასში, უნდა ხდებოდეს მოსწავლის ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, ასევე, სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება უნდა ჩამოუყალიბდეთ. სანამ ინტერვენციებს დავგეგმავდი, უნდა დამედგინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. მშობლებისა და კლასში შემავალი მასწავლებლების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი:

- მოსწავლეებს უჭირთ ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუება;
- მოსწავლეებს უჭირთ ყურადღების კონცენტრირება;
- მოსწავლეებს სურთ თავი დაიმკვიდრონ ახალ საზოგადოებაში.

1.4 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, აღმოვფხვრა კლასში არასასურველი ქცევა, მოვაწესრიგო მოსწავლეთა დისციპლინა, დავნერგო თანამედროვე მეთოდებითა და სტრატეგიებით სწავლება. შევქმნა დადებითი და თანამშრომლობითი გარემო საკლასო ოთახში, სადაც

მოსწავლეები თავს იგრძნობენ კომფორტულად და ერთმანეთის მიმართ ექნებათ მზრუნველი დამოკიდებულება.

1.5 კვლევის ამოცანა

ჩემი კვლევის ამოცანაა, გამოვიყენო ეფექტური ხერხები კლასში მოსწავლეთა სამართავად. სასწავლო მიზანი გავხადო უფრო პრიორიტეტული. სწორად ჩავერიო მოსწავლის არასწორი ქცევის აღმოსაფხვრელად. შევქმნა კლასში ეფექტური სასწავლო გარემო და შეძლებისდაგვარად ჩამოვუყალიბო მოსწავლეებს თვითდისციპლინის უნარები. ასევე, ამ პროცესებში ჩავრთო თვითონ მოსწავლეები და მშობლები.

საკვლევი კითხვები

1. შეუძლია თუ არა მასწავლებელს ეფექტური ხერხების გამოყენებით კლასში დისციპლინის სრულად მართვა?
2. შესაძლებელია თუ არა მხოლოდ მასწავლებლის ჩარევით მოსწავლის არასწორი ქცევის აღმოფხვრა?
3. არის თუ არა შესაძლებელი კლასში ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა?
4. არის თუ არა შესაძლებელი მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს თვითდისციპლინის უნარი?
5. როგორ უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა კლასში დისციპლინის გაუმჯობესებას მოსწავლეების დახმარებით?

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 დისციპლინის არსი

დისციპლინა არის ღონისძიებების ნაკრები, რომელსაც იყენებს მასწავლებელი მოსწავლეთა ქცევის პრობლემების მინიმუმამდე დასაყვანად. პროფესიონალი პედაგოგი ადეკვატურად უნდა ახდენდეს ყურადღების რეაგირებას მოსწავლეთა ქცევაზე (მარზანო 2009, 29). რაც შეეხება კლასის მართვას, ეს არის მასწავლებლის ქმედება, რომელიც მიმართულია კლასში შექმნას სასწავლო გარემო.

სხვადასხვა დროს მეცნიერები ქმნიდნენ კლასის მართვის სტილებს, სწორედ დისციპლინის პრობლემების აღმოსაფხვრელად და ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ვინაიდან, არაერთი კვლევა ადასტურებს კავშირს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და მასწავლებლის ეფექტურობას შორის. მასწავლებელს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ამის დასტურია უილიამ სანდერსისა და მისი კოლეგების მიერ ტენესის შტატში ჩატარებული კვლევა, რომელშიც დაწყებითი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. თუმცა, ეს ერთადერთი კვლევა არ არის, რომელიც ადასტურებს კავშირს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და მასწავლებლის ეფექტურობას შორის (მარზანო 2009, 3).

ეფექტური მასწავლებელი დისციპლინასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის არიდებას ახერხებს იმით, რომ მოსწავლეებს არ აძლევს მოდუნების საშუალებას და უღვიძებს ინტერესს. ამას კი ახერხებს საინტერესო მასალებისა და აქტივობების გამოყენებით. ასევე, სასწავლო გეგმას არგებს მოსწავლის საჭიროებებს, კლასის მართვის მეთოდებს იყენებს ეფექტურად. სწორედ კლასის მართვა წარმოადგენს დანარჩენების საფუძველს (მარზანო 2009, 15).

დისციპლინის დარღვევების ხარისხი განსხვავდება ერთმანეთისაგან, არსებობს შედარებით მსუბუქი და მძიმე დისციპლინის დარღვევები. შესაძლოა დღე ისე გავიდეს, რომ კლასში საერთოდ არ დაფიქსირდეს ქცევის დარღვევა, მაგრამ დასაშვებია პირიქითაც, ამიტომ არასასურველი ქცევის აღმოფხვრაზე მუშაობა სისტემატურ და კომპლექსურ ხასიათს უნდა ატარებდეს. „იმ კლასებში, სადაც ეფექტურად ტარდება დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები, დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა საშუალო მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ კლასებში, სადაც არ ტარდება დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები“ (მარზანო 2009, 13).

ნებისმიერი მასწავლებელი, როგორი კლასის მართვის სტილსაც არ უნდა იყენებდეს, ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს თვითდისციპლინის უნარი და საბოლოოდ შექმნას კლასში ჯანსაღი გარემო. დიმიტრი უზნაძე წერს: „ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისაა. დისციპლინას მხოლოდ მაშინ ექნება მაქსიმუმი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, როდესაც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ და თვითონვე ცდილობდნენ თავისი შეგნებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ“ (ბოჭორიშვილი 2016, 29).

თითოეული მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს შეისწავლონ ახალი, კლასისთვის შესაფერისი და სოციალურად გამართლებული ქცევა. მოსწავლემ უნდა დაისახოს მიზანი, დაგეგმოს და შემდეგ განახორციელოს მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედება. რომელი ქცევა უნდა შეინარჩუნოს და რომელი შეცვალოს მოსწავლემ, ამისათვის საჭიროა მოსწავლეს შეეძლოს ზუსტი შეფასება. თვითმართვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში ორივე მხარე: მოსწავლე და მასწავლებელი ერთად უნდა მუშაობდეს (ბოჭორიშვილი 2016, 40).

მოსწავლეების მიერ დისციპლინის დარღვევა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას: „მეცნიერები ასახელებენ: ბავშვის ფსიქიკური სამყაროს სენსიტიურობას, არაცნობიერ მოტივებს, მემკვიდრეობას, გარემოს, აღზრდის დეფიციტს და სხვა“,

(ჯაფარიძე 2013) თუმცა მხოლოდ ეს მეცნიერული ახსნა არ არის საკმარისი მასწავლებლისთვის, რომ კლასში დისციპლინა შეინარჩუნოს.

მოსწავლეების ქცევის პრობლემები გამოწვეულია იმით, რომ ცდილობენ ისინი თავი დაიმკვიდრონ სკოლაში და მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებაში. როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი უ. გლასერი წერს: „თუ ბავშვის პიროვნული მოთხოვნილებები სახლში არ რეალიზდება, მისი რეალიზება სკოლაში უნდა მოხდეს“ (ჯაფარიძე 2013). ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებს უნდა მივცეთ ის, რაც მათ აკლიათ. წარმატების მისაღწევად ამ კუთხით ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სკოლას დიდი როლი აკისრია მოსწავლის რეალიზების გზის გასახსნელად. რატომ არის საჭირო ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება? იმიტომ, რომ თვითდამკვიდრებისათვის მოსწავლე სხვადასხვა ხერხს მიმართავს, რაც დამოკიდებულია საკლასო გარემოზე და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაზე.

მოსწავლის მხრიდან დისციპლინის დარღვევა შესაძლოა გამოწვეული იყოს ყურადღების მიპყრობის მიზნით, ძალაუფლების, შურისძიების ან წარუმატებლობისგან გაქცევის სურვილით. ეს მოტივები გამოყო ამერიკელმა პედაგოგმა რუდოლფ დრეიკურსმა, რომელსაც მიაჩნია, „რომ ქცევითი დარღვევის ათიდან ცხრა შემთხვევაში მიზეზი ამ ოთხიდან ერთია“ (ჯაფარიძე 2013). ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იყოს განსაზღვრული ქცევის მოტივი ეფექტიანი მუშაობისათვის და შესაბამისად მოხდეს სწორი ჩარევა, რათა არასასურველი ქცევის აღმოფხვრა მოხდეს. სევე ძალიან მნიშვნელოვანია, დისციპლინის გაუმჯობესებისათვის არასწორი ქცევისა და სანიმუშო ქცევის წახალისება დაბალანსებული უნდა იყოს (მარზანო 2009, 52).

საკმაოდ რთულია განსაზღვროს მასწავლებელმა ცუდი ქცევის მოტივი, რადგან თითოეული ბავშვის ქცევას განაპირობებს მიზეზებისა და მოტივების უნიკალური კომბინაცია. ყველა შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ქცევის გამოსწორების უნივერსალური ხერხი არ არსებობს და დისციპლინის გასაუმჯობესებლად მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო (ჯაფარიძე 2013).

თუკი მასწავლებელს სურს კლასში დისციპლინის შენარჩუნება საკლასო წესებისა და პროცედურების შემუშავებაში მოსწავლეებიც უნდა იყვნენ ჩართულები, ამგვარად მოსწავლეებს უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა და შესაბამისად უყალიბდებათ თვითმართვის უნარ-ჩვევებიც (მარზანო 2009, 34).

კლასის ეფექტური მართვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლე მასწავლებლის ურთიერთობა. მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს კლასში შექმნილ სიტუაციას და ამასთან ერთად თანამშრომლობითი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან. მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ მასწავლებელს მათი პრობლემები, ინტერესები აღელვებს და ამასთან ერთად, მოსწავლე უნდა გრძნობდეს მასწავლებლის დომინანტურ როლს (მარზანო 2009, 81).

საკმაოდ რთულია მასწავლებელმა გაიგოს ქცევის მოტივი, ყველა შემთხვევაში დისციპლინის დასამყარებლად, მასწავლებელი ინდივიდუალურ მიდგომას უნდა იყენებდეს. ეს იქნება ყველაზე უკეთესი საშუალება მოსწავლის ქცევის მოტივის ამოსაცნობად (ჯაფარიძე 2013).

2.2 კლასის მართვის სტილები

ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად არსებობს კლასის მართვის სამი სტილი, ესენია: ჰუმანისტური, დემოკრატიული და ბიჰევიორისტული მოდელები. რა თქმა უნდა, ეს მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა სამივე მოდელის მიმდევრები თანხმდებიან იმ პრინციპზე, რომ პროფილაქტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კორექცია. რაც ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლის ხასიათს და მანამდე ჩაერიოს, ვიდრე დაიძაბება სიტუაცია, თან ისე უნდა მოახერხოს, რომ კონკრეტულად მოსწავლისკენ იყოს მიმართული და სხვებისთვის უხილავი აღმოჩნდეს (ლაბარტყავა 2013).

ჰუმანისტური მოდელის ავტორები კარლ როჯერსი და მაიკლ მარლენდი არიან. ეს მოდელი ეფუძნება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითად კონცეფციას, რაც ადამიანის უნიკალურობას, ინდივიდუალობას აღიარებს. თითოეული მოსწავლის უნარები მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ, სწავლების პროცესში ყურადღების ცენტრში მოსწავლეა. ამ მოდელის პედაგოგის მიზანია, მოსწავლეს შინაგანი დისციპლინა გამოუმუშაოს და დაეხმაროს მოსწავლეს განვითარებაში (ლაბარტყავა 2013).

დემოკრატიული მოდელი ითვალისწინებს მოსწავლეთა უფლებებს და ორიენტაციას კვლავ მოსწავლეზე აკეთებს, მაგრამ ჰუმანისტური მოდელისგან იმით განსხვავდება, რომ მასწავლებელს მმართველის როლი აკისრია. ეს მოდელი ალფრედ ადლერის პიროვნების თეორიას ეფუძნება, რომელიც ადამიანის ქცევას გარკვეული მიზნის მიღწევის მოტივით ხსნის. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ ყურადღების მიქცევის საუკეთესო საშუალება დისციპლინის დარღვევაა. მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ასეთ შემთხვევაში შეეძლოს ადეკვატური რეაგირება (ლაბარტყავა 2013).

მესამე მოდელია ბიჰევიორისტული მოდელი, რომლის მიდგომა ქცევის კორექციისკენაა მიმართული, სადაც განსაკუთრებული როლი მასწავლებელს აკისრია და მოსწავლის ქცევის მართვაზეა ორიენტირებული. ასეთი კლასის მართვის მოდელში მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მათ ქცევასთან დაკავშირებულ მოლოდინებს და შემდეგ ქცევის მონიტორინგით, არასწორი ქცევის კორექციით შემოიფარგლება (ლაბარტყავა 2013).

დისციპლინის გაუმჯობესებაზე მხოლოდ მასწავლებლის მუშაობა უშედეგო იქნება და პასუხისმგებლობა მხოლოდ მასწავლებელს არ უნდა დაეკისროს. კვლევები ადასტურებს, რომ დასჯის გამოყენება არ აუმჯობესებს დისციპლინას და საუკეთესოა დაბალანსებული მიდგომა, რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიიღწევა (მარზანო 2009, 35).

მიუხედავად კლასის მართვის სტილების გაცნობისა და მოსწავლეთა დისციპლინის დარღვევების გამომწვევი მიზეზების დადგენისა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ რომელიმე მართვის სტილი უფრო ეფექტურია და შესაძლებელია კლასში აკადემიური და

დისციპლინის პრობლემების სრულად აღმოფხვრა, მაგრამ შესაძლებელია არასასურველი ქცევის თავიდან აცილება და კლასის მართვის სტილების გამოყენებით ეფექტური, უსაფრთხო, მოწესრიგებული და პატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნა.

2.3 ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რაც გულისხმობს:

„ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;
ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.“ მიმაჩნია, რომ ამ პროცესებში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვალდებულები ვართ მოსწავლეები უზრუნველვყოთ მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.
ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.
დისციპლინაზე ზრუნვაც დამრიგებლისა და მასწავლებლის მოვალეობაა ჩვენ უნდა განვუვითაროთ მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. ამავე დროს, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშვიდი და

საქმიანი გარემოს შექმნა, ასევე, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

თავი III

მეთოდოლოგია

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს პირველი კლასი. მე ამ კლასში ვასწავლი ქართულს, მათემატიკასა და ბუნებას, შესაბამისად, ინტერვენციები მხოლოდ ამ საგნების გაკვეთილზე განვახორციელე. კლასში სწავლობს 25 მოსწავლე, მათ შორის ერთი სსსმ და ერთი აზერბაიჯანელი მოსწავლე. სკოლაში სულ სწავლობს 723 მოსწავლე.

3.2 შერჩევა

კვლევაში გამოვიყენე უბრალო და ჩართული ტიპის დაკვირვება საკვლევი პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა გამოკითხვის ჩატარება კითხვარის საშუალებით (იხ. დანართი#1). კითხვარი გათვლილი იყო მშობლებისათვის.

ჩართული ტიპის მიზნობრივი შერჩევა - ინტერვენციების შემდგომ მიღწეული შედეგის განსაზღვრის მიზნით განვახორციელე ჩემსა და კოლეგების გაკვეთილზე ჩართული დაკვირვება.

3.3 მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შესაგროვებლად გამოვიყენე თვისებრივი მეთოდის შემდეგი ინსტრუმენტები:

- კითხვარი;
- ფოკუს-ჯგუფი (მოსწავლეებთან)(შეკითხვები მოსწავლეებისთვის) (დანართი #2);
- ინტერვიუ კლასში შემავალ მასწავლებლებთან (გვჭირდება შეკითხვები) (დანართი #3);
- ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე.

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ:

- ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან:
- ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან.

კითხვარი

ჩემი მიზანი იყო, კითხვარების საშუალებით მიმეღო ინფორმაცია მოსწავლეთა ინტერესების, ოცნებების, უნარების შესახებ, ასევე, როგორ ახალისებენ მშობლები, ან როგორ სჯიან და რა ფორმით, როგორ მოქმედებს მოსწავლეებზე და ასე შემდეგ.

ფოკუს-ჯგუფი

ფოკუს-ჯგუფი ჩავატარე პირველი კლასის მოსწავლეებთან, მშობლების დახმარებით, თვითონ პატარებს ვკითხე როგორ ასრულებენ დავალებებს - ხალისით თუ უხალისოდ, რა უხარიათ, რა არ მოსწონთ და ასე შემდეგ.

ინტერვიუ მასწავლებლებთან

ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, მინდოდა კლასში შემავალი მასწავლებლებისგანაც მიმეღო ინფორმაცია, როგორ იქცევიან მის გაკვეთილზე, რას იყენებს მასწავლებელი, როგორ იცავენ ქცევის წესებს და ასე შემდეგ.

ფოკუსირებული დაკვირვება

ფოკუსირებული დაკვირვების მიზანი იყო ჩემი დაკვირვებით, როგორ იქცევიან, რა აღიზიანებთ, რა იწვევს მათი ქცევის გადაცდომებს გაკვეთილზე და ასე შემდეგ.

3.3 კვლევის ვადები

N	აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	საკვლევი პრობლემის შერჩევა	X							
2	კვლევის გეგმის შემუშავება	X							
3	კითხვარის შედგენა		X						
4	შეხვედრა მშობლებთან		X						
5	ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან		X						
6	ინტერვიუ მასწავლებლებთან		X						
7	მონაცემთა ანალიზის დამუშავება			X					
8	პრობლემის იდენტიფიცირება			X					

9	სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა			X					
10	ინტერვენციების განხორციელება				X	X	X	X	X
11	ინტერვენციების შეფასება								X
12	პრეზენტაცია								X

თავი IV

მონაცემთა ანალიზი

4.1 კითხვარის ანალიზი

როგორც კითხვარიდან გავიგე, მშობლების უმრავლესობა მუშაობს და ბევრ დროს ვერ უთმობს შვილებთან ურთიერთობას. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა ყველაზე საყვარელი საქმიანობა არის კომპიუტერთან თამაში, რის გავლენაც იგრძნობა (არიან აგრესიულები, აქვთ თავისი სამყარო, საიდანაც უჭირთ რეალობაში დაბრუნება). თანატოლებთან უყვართ თამაში, თუმცა ხშირად კამათში და ჩხუბში გადადიან.

მეცადინეობას უთმობენ ნაკლებ დროს, სჭირდებათ მშობლის დახმარება, მონიტორინგი.

შევნიშნე, რომ დედისერთა ბავშვებს მეტად აქვთ ქცევის პრობლემები. უფრო ჯიუტები და მომთხოვნები არიან.

მშობელთა უმრავლესობა ბავშვის დასჯის ხერხად იყენებს მისი საყვარელი საქმიანობის აკრძალვასა და სიტყვიერ გაფრთხილებას, თუმცა ნაკლებ დროს უთმობენ შვილთან საუბარს.





მშობლების შვილების წასახალისებლად ძირითადად ყიდულობენ სათამაშოს, აძლევენ უფლებას, რომ გააკეთონ მათი საყვარელი საქმიანობა და ეფერებიან.



დიაგრამიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას აქვას თავისი სამეცადინო კუთხე,

რაც ძალიან კარგია და ვფიქრობ დადებითად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე.



ზემოთ დიაგრამიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მოსწონს მათემატიკა და სპორტი.



დიაგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეთა 80% ერთ ან ორშვილიან ოჯახში იზრდება.

ჩემი დაკვირვებით დედისერთა ბავშვები მეტად ემოციურები, განებივრებულები არიან და ქცევის პრობლემებიც მათთან მეტად იჩენს თავს.

მთლიანობაში, კითხვარმა აჩვენა, რომ მშობლები ძირითადად დასაქმებულები არიან, ნაკლები დრო აქვთ შვილთან საურთიერთოდ, მოსწავლეთა უმრავლესობა ერთი და ორშვილიანი ოჯახიდან არის. მიუხედავად იმისა, რომ შვილების სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულები, მშობლებიც აწყდებიან შვილთან ურთიერთობისას პრობლემებს და ისინი, ძირითადად, იყენებენ დასჯისა და წახალისების არასწორ ფორმებს.

4.2 ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან

ჩემს წინაშე წამოჭრილმა პრობლემამ დამაფიქრა იმაზე, როგორ მომეძია გზები, რომლის საშუალებითაც შევამცირებდი წესრიგის დარღვევასა და გამომადგებოდა კლასის მართვაში. თავდაპირველად ფოკუს ჯგუფისთვის ჩავატარე ინტერვიუ, ასევე შევავსებინე კითხვარი მშობლების დახმარებით (ვიდრე წერა-კითხვას ისწავლიდნენ) კითხვარში იყო როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები. ყველა მოსწავლეს მივეცი საშუალება თავისი აზრი გამოეთქვა თავისუფლად, ვფიქრობდი ეს დაეხმარებოდა მათ არასასურველი საქციელის გამომწვევი მიზეზების დასადგენად და მისი პრევენციისათვის.

ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ თავდაპირველად უმრავლესობას გაუჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. არიან ცელქები, უჭირთ დიდხანს ჯდომა, ერთ რამეზე ყურადღების კონცენტრირება, ხშირად სჭირდებათ შესვენება.

ფოკუს ჯგუფის ჩატარების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს უყვარს მათემატიკა და სპორტი. ქართული ენა ნაკლებად, რადგან ჯერ კიდევ არ არიან გაწაფული კითხვაში და ეზარებათ კითხვა. უმრავლესობა ერთობა კომპიუტერით, მცირე ნაწილი თამაშობს ბავშვებთან ერთად და უყურებს მულტფილმებს, თითო-ოროლა კითხულობს წიგნებს. ეს ყველაფერი კი აისახება საგაკვეთილო პროცესზე.

4.3 ინტერვიუ მასწავლებლებთან

მასწავლებლებთან ინტერვიუდან შევიტყვე, რომ მოსწავლეებისთვის სჭირდებათ სამჯერ და მეტჯერ შენიშვნის მიცემა. უფრო ხშირად ლაპარაკობენ ერთმანეთთან, წასახალისებლად იყენებენ სიტყვიერ შექებას და ფერად სტიკერებს, მათ შორის უკეთესად მოქმედებს სტიკერები. ზოგიერთი მასწავლებელი ასვენებს გაკვეთილზე, მაგრამ ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ სჭირდებათ ბავშვებს დასვენება, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ესაც იწვევს კლასში დისციპლინის პრობლემებს. მასწავლებლები იყენებენ სახალისო მეთოდებს, მაგრამ დიდი სიხშირით არა. შესაძლოა გაკვეთილები ბავშვებისთვის უინტერესო და მოსაწყენი ხდება, რაც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ჩემი საკვლევი საკითხის.

4.4 დაკვირვება

ჩემს გაკვეთილზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებს უჭირთ 35 წუთის განმავლობაში გაკვეთილზე ჯდომა, რაც იწვევდა მათი მხრიდან ქცევის პრობლემებს, თუმცა, მხოლოდ გაკვეთილის დროის ხანგრძლივობა არ იყო მიზეზი. როგორც ზემოთ ვახსენე, ბავშვები ძირითადად ერთობიან კომპიუტერებით, მშობლები დასაქმებულები არიან, ეს ყველაფერი კი აისახება საგაკვეთილო პროცესზე. შემდეგ გადავწყვიტე დავკვირვებოდი ბავშვებს სხვა გაკვეთილებზეც, მაინტერესებდა, როგორ იქცეოდნენ სხვა საგნის მასწავლებლებთან. აღმოჩნდა, რომ ყველა საგანში ერთი და იგივე პრობლემა გვქონდა.

კვლევის მიგნებები

- ძირითადად დედისერთა ბავშვებს აქვთ ქცევის პრობლემები;
- მშობელთა უმრავლესობა დასაქმებულია;
- ბავშვები ძირითადად კომპიუტერული თამაშებით ერთობიან;
- მოსწავლეებზე იგრძნობა კომპიუტერული თამაშების ნეგატიური გავლენა, რასაც ამჟღავნებენ თანატოლებთან ურთიერთობისას.

თავი V

ინტერვენცია და მისი შეფასება

5.1 შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ასევე ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები:

1. კლასში შევადგინო ქცევის წესები მოსწავლეთა ჩართულობის მიხედვით;
2. გამოვიყენო განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები (ფერადი სტიკერები, შუქნიშანი, ცერა თითები);
3. გამოვიყენო ეფექტური სტრატეგიები: ა) როლური თამაშები, ბ) სწავლა კეთებით, გ) კვლევაზე დაფუძნებული სწავლება;
4. ჩავრთო ისტი საგაკვეთილო პროცესში;

5.2 ინტერვენციების აღწერა

ქცევის წესების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე გავაცანი მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ნაწილი. პატარები ვერ

აცნობიერებდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას. მათი მონაწილეობით შევადგინეთ კლასში და სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები. წესების ჩამოყალიბებისას ზუსტად ვხსნიდი რას გულისხმობდა თითოეული მათგანი, რის შემდეგაც შეცვალეს თავისი დამოკიდებულებები.

ქცევის წესების შემუშავება მოხდა შემდეგნაირად: მოსწავლეებს კლასში ვკითხე - რა უშლიდათ ხელს გაკვეთილზე? მათ, ჩემდა გასაკვირად, თვითონ დაასახელეს, რომ ხმაური, წამოძახილი, მასწავლებლის ნებართვის გარეშე ადგომა და სიარული იყო ის პრობლემები, რაც მათ ხელს უშლიდათ გაკვეთილზე. ეს ყველაფერი მათთან ერთად დავწერე დიდ ფორმატზე, წესების გარშემო გავაკეთე მოსწავლეთა ხელები, სადაც მხოლოდ კარგი ქცევის გამო ვახალისებდი ბავშვებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩართულობით შევქმენი მოსწავლეთა ქცევის წესები, ხშირად მჭირდებოდა შეხსენება, მაგრამ დროთა განმავლობაში ბავშვებს ჩვევაში გაუჯდათ და საგრძნობლად გაუმჯობესდა კლასში დისციპლინა.

ჩემი გრძელვადიანი მიზანი იყო მოსწავლეებში თვითდისციპლინის უნარის ჩამოყალიბება, ხოლო მოკლევადიანი მიზანი-კლასში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა და არასასურველი ქცევის მინიმუმამდე დაყვანა.

გამოვიყენო განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები (ფერადი სტიკერები)

განმავითარებელი შეფასება მოიცავს შემოწმებას, დაკვირვებას, განხილვას, შეჯამებას. მისი უპირატესობა ის არის, რომ კარგად ჩანს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები. მოსწავლე უფრო კარგად ხედავს რა უნდა გამოსწოროს, რაში სჭირდება მეტი მუშაობა.

ყველაზე ხშირად ვიყენებდი განმავითარებელი შეფასების ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ ინსტრუმენტს კომენტარს/უკუკავშირს. ვცდილობდი უკუკავშირი ისე მიმეწოდებინა, რომ გაეცნობიერებინა მოსწავლეს და ხელი შეეწყო მისი წინსვლისთვის.

შევნიშნე, რომ წამახალისებელი უკუკავშირი უკეთ მუშაობდა ბავშვებში. მათ უმაღლდებოდათ მოტივაცია, რაც აისახებოდა, როგორც სწავლაზე, ასევე ქცევაზე.

გადავწყვიტე, გაკვეთილზე ზედმეტი ხმაურისა და უწესრიგობისათვის თავი ამერიდებინა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით: ხელის ნიშნებითა და ფერადი სტიკერებით. ხელის ნიშნებმა ნამდვილად გამოასწორა მდგომარეობა და მოსწავლეები ყვირილს ნაცვლად იყენებდნენ ხელის ნიშნებს. იგივე ეფექტი ჰქონდა შუქნიშანს, რომელსაც მხოლოდ ჯგუფური მუშაობის დროს ვიყენებდი.

გამოვიყენო ეფექტური სტრატეგიები:

ა) როლური თამაშები;

ბ) სწავლა კეთებით.

მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და დაინტერესების მიზნით ხშირად ვიყენებდი სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს. როლური თამაში ძალიან მოსწონდათ მოსწავლეებს. ამ დროს ისინი არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები იყვნენ. არ სწყინდებოდათ გაკვეთილი. მათ საშუალება ჰქონდათ გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება , ემოციები, რაც აადვილებდა სწავლის პროცესსა და მასალის ათვისებას. თავდაპირველად გამიჭირდა როლური თამაშების ორგანიზება, ბავშვებში იწვევდა ხმაურს, რაც მაკარგვინებდა საგაკვეთილო დროს, მაგრამ დროთა განმავლობაში, მოსწავლეებთან ერთად ვისწავლეთ დროის ეფექტურად გამოყენება, ბავშვებმა იცოდნენ უკვე ამ აქტივობისთვის შესასრულებელი წესები, რაც მიადვილებდა საქმეს.

კეთებით სწავლა მეტად პროდუქტიულია. ამ დროს მოსწავლეები აზრიანად მოქმედებდნენ, აცნობიერებდნენ, რასაც აკეთებდნენ და მიზანსაც უკუთესად ვაღწევდით. (მაგ.: მანიპულატივების გამოყენება, სავარჯიშო ხე,, თამაში „მაღაზიობანა“ და სხვა). მაქსიმალურად ვცდილობდი თუკი გაკვეთილის თემა მაძლევდა საშუალებას გამომეყენებინა ეს მეთოდი, რადგან მოსწავლეებს უფრო სტაბილური ცოდნა უვითარდებოდათ, უკეთესად იმახსოვრებდნენ და იყენებდნენ ნასწავლს. მაგალითად,

ერთ-ერთი აქტივობის დროს დავრგეთ ნერგი, მათ იცოდნენ, რომ ნერგის გასაზრდელად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო წყალი, მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს ინიციატივა და მორიგეობით უსხამდნენ წყალს. ყველაზე მეტად გამიხარდა ის, რომ სწავლის დასრულების შემდეგაც კი მოდიოდნენ ამ ხის სანახავად და მოსავლელად.

ისტის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

როგორც ზემოთ ვახსენე, მოსწავლეთა უმრავლესობის გასართობი არის კომპიუტერი. მე გადავწყვიტე მათი ეს ინტერესი სასწავლიო მიზნებისთვის გამომეყენებინა. კერძოდ, გამეკეთებინა ვიდეო ფილმები, მოთხრობები, კლიპები და ელექტრონული რესურსები გაკვეთილისთვის.

პროგრამა "movie-maker"-ში თავად შემიძლია კლიპებისა და ფილმების კეთება. ამიტომ ხშირად ვიყენებდი, როგორც საკუთარ, ასევე სხვადასხვა სტუდიებში გაკეთებულ ფილმებს. დიდი ხალისით, სიმღერ-სიმღერით შევისწავლეთ ანბანი, სახალისო მათემატიკა და წელიწადის დროები, „ჟოზეს" დახმარებით. აქტიურად ვიყენებდით მოსწავლის „ბუკში მოცემულ სავარჯიშოებსაც.

ისტის გამოყენებამ მოსწავლეებში შემოიტანა სიხალისე და მოტივაცია, უფრო მეტად იყვნენ ჩართულები გაკვეთილში და აღარ მჭირდებოდა შეხსენება ქცევის კორექციაზე.

5.3 ინტერვენციების შეფასება

დაკვირვება

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ და პროცესშიც ვაკვირდებოდი. როგორ მოქმედებდა მოსწავლეებზე ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები.

ჩემი დაკვირვების მიხედვით, კლასში საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა. შეიქმნა დადებითი და თანამშრომლობითი გარემო, რა თქმა უნდა, მოსწავლეები ისევ არღვევდნენ წესებს, მაგრამ არა იმ სიხშირით, რაც ინტერვენციების განხორციელებამდე იყო. ასევე, ყოველი დღის ბოლოს თითოეული მოსწავლის მშობელთან ვსაუბრობდი მათი შვილის ქცევისა თუ სხვა პრობლემის შესახებ და ვაძლევდი რეკომენდაციას, როგორ მოქცეულიყო შვილთან. ვფიქრობ, რომ ამანაც იქონია გავლენა ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტზე.

ინტერვიუ მასწავლებლებთან

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვიყენე იგივე კითხვები, რაც პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე გამოვიყენე, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ინტერვენციების განხორციელების ეტაპზე ვთანამშრომლობდი მათთან და ვაძლევდით ერთმანეთს რეკომენდაციებს, რამაც დადებითად იმოქმედა საკლასო გარემოზე. მასწავლებლები უფრო ნაკლებად აძლევდნენ შენიშვნებს ბავშვებს, მასწავლებლის ნებართვის გარეშე ისინი მერხიდან აღარ დგებოდნენ და არ ყვიროდნენ ადგილიდან პასუხებს, აღმოჩნდა, რომ ჩემი ინტერვენციების განხორციელებამ მათ გაკვეთილებზეც დადებითად იმოქმედა. მასწავლებლები აქცენტს აკეთებდნენ კარგ ქცევაზე და არა დასჯაზე, რაც ჩემი რეკომენდაცია იყო. ამ შემთხვევაში ყველა მასწავლებელი ცდილობდა რომ გამოეყენებინა სახალისო აქტივობები და დაესვენებინა ისინი გაკვეთილზე.

ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან

ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, როდესაც მათი მხრიდანაც მინდოდა რომ შეფასებულიყო ჩემი ინტერვენციები. მიუხედავად იმისა, რომ პირველკლასელები არიან, არგუმენტირებულად აფიქსირებდნენ თავიანთ აზრს. მაგალითად, ამბობდნენ, რომ ძალიან მოსწონდათ ისტის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მოსწონდათ, როდესაც ვაქებდი და არა ვსჯიდი. ასევე, მოსწონდათ როლური თამაშები და წლის დასასრულსაც ახსოვდათ მათ მიერ შესრულებული აქტივობები. ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ შეიცვალა მათი დამოკიდებულება გაკვეთილების მიმართ. გთავაზობთ რამდენიმე დიაგრამას:



ამ დიაგრამიდან ჩანს, მოსწავლეთა ინტერესი ქართულის მიმართ შეიცვალა, დიაგნოსტირების ეტაპზე მხოლოდ სამ მოსწავლეს მოსწონდა ქართული, შესაძლოა ეს გამოიწვია იმანაც, რომ უკვე კითხვა ისწავლეს, მაგრამ მოსწავლეებმა დაასახელეს, რომ სახალისო აქტივობებმა შეცვალა მათი დამოკიდებულება. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ

იცავდნენ ქცევის წესებს, რადგან უნდოდათ ჯილდო მიეღოთ როგორც მასწავლებლისგან, ისე მშობლისგან.

თავი VI

6.1 კვლევის შეზღუდვა

ვინაიდან კვლევა განვახორციელე პირველ კლასში, ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენების საშუალება არ მომეცა. ასევე, ჩემი კვლევის შედეგებს ვერ განვაზოგადებ და ვერ ვიტყვი, რომ სხვა პედაგოგის მიერ განხორციელებულ იგივე ინტერვენციებს, იგივე შედეგი ექნება.

6.2 რეკომენდაციები

- ახალი სასწავლო წლიდან უნდა გაგრძელდეს ინტერვენციების განხორციელება, რათა არ დაიკარგოს ეფექტი;
- უნდა შევცვალოთ მეთოდები და სტრატეგიები, რომ მოსაწყენი არ გახდეს მოსწავლეებისთვის;
- გაიზარდოს თანამშრომლობა მასწავლებლებს შორის უკეთესი შედეგის მისაღწევად.

6.3 დასკვნა

კლასის ეფექტური მართვა საკმაოდ რთულია, როდესაც საქმე გაქვს ერთდროულად 25 მოსწავლესთან, თან როდესაც პირველ კლასზეა საუბარი. გიწევს უამრავი ფაქტორის

გათვალისწინება, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არ არის. არადა სწორედ ეს განაპირობებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, ქცევის ნორმების დარღვევების რაოდენობასა და მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორსაც.

კლასის მართვა არ გულისხმობს მოსწავლეთა გაკონტროლებასა და მათ იძულებას გაკვეთილზე წყნარად იყვნენ. კლასის მართვა იმ სტრატეგიების ერთობლიობაა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს უსაფრთხო და პროდუქტიული სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის. ძალიან რთულია შეცვალო მოსწავლის ქცევა, თითქმის შეუძლებელიცაა, თუ თვითონ მან არ მოინდომა მისი შეცვლა. სწორედ აქ სჭირდება მასწავლებელს ძალიან ფრთხილად და ტაქტიკურად ჩარევა.

დაკვირვების შედეგად დავრწმუნდი, რომ „მოსწავლის ქცევის მოდიფიცირება შესაძლებელია მიზანმიმართული წვრთნით, თუკი ადეკვატური სტიმულების (წახალისების) სისტემას გამოვიყენებთ და ამასთანავე მნიშვნელოვანია მიზნის (სამიზნე ქცევის) სწორად განსაზღვრა“. ყურადღებას გავამახვილებთ იმ ქცევაზე, რომლის შეცვლას და ჩამოყალიბებას ვისახავთ მიზნად. მთავარია ეს სამიზნე ქცევა მას ჩვევაში გადავუზარდო, რასაც სჭირდება მისი ხშირი და თანმიმდევრული გამეორება და გამოყენება. რასაც მე ვაკეთებდი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

მასწავლებლის რისხვა ხშირად იწვევა მოსწავლეთა აგრესიას, მე ჩემი კვლევის ფარგლებში შევარჩიე ისეთი ინტერვენციები, რაც გულისხმობდა მთელი ყურადღების გადატანას საგაკვეთილო პროცესზე. გაკვეთილები იყო საინტერესო და სახალისო. რა თქმა უნდა, დისციპლინის პრობლემები კვლავ იქნებოდა კლასში, თან როდესაც საუბარია პირველ კლასზე, მდგომარეობა საგრძნობლად გავაუმჯობესე.

ბიბლიოგრაფია

1. ბოჭორიშვილი, მანანა და დარეჯან დვალიშვილი. 2016. *უსაფრთხო სკოლა.* თბილისი;
2. მარზანო, რობერტ ჯ, იანა ს. მარზანო და დებრა ჯ. ფეიქერინგი. 2009. *კლასის მართვა.* გამომცემელი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი;
3. ლაბარტყავა, ნინო. 2012. *კლასის მართვის სტრატეგიები.* mastsavlebeli.ge. http://mastsavlebeli.ge/?p=3527 (05.07.2017);
4. ჯაფარიძე, მარინე. 2013. *მოსწავლეთა ცუდი ქცევის ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა.* http://mastsavlebeli.ge/?p=2347 (05.07.2017);
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. *კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები.* http://www.tpdc.ge/uploads/banners/martva.pdf (04.07.2017).
6. ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური 2018-20124).

დანართები

დანართი #1 კითხვარი მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო, იმისათვის, რომ თქვენი
შვილების მიდრეკილებები, ოცნებები, ინტერესები და უნარები უკეთ გავიგო, გთხოვთ შეავსოთ თქვენთვის შედგენილი კითხვარი:

1. თქვენი გვარი, სახელი----------
2. მოსწავლის გვარი, სახელი----------
3. თქვენი პროფესია, სამუშაო ადგილი----------

   ---

4. თქვენი ტელეფონის ნომერი:----------

5. რამდენი შვილია ოჯახში?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 და მეტი

6. აქვს საკუთარი ოთახი, სამეცადინო კუთხე ან მაგიდა?

ა) აქვს საკუთარი ოთახი და მაგიდა;

ბ) აქვს სამეცადინო კუთხე;

გ) არ აქვს სამეცადინო კუთხე.

7. რამდენიმე სიტყვით დაახასიათეთ თქვენი შვილი.----------

---

8. მის რომელ თვისებას მიიჩნევთ:

განსაკუთრებით დადებითად?----------

განსაკუთრებით უარყოფითად?----------

9. საქმიანობა, რომელსაც ყველაზე დიდი ხალისით და მონდომებით ასრულებს.

---

10. თანატოლებთან ურთიერთობისას რა თვისებებს ამჟღავნებს?----------

---

11. რამდენ დროს უთმობს მეცადინეობას?----------

12. რომელი საგანი უყვარს მეტად?----------

13. რომელი საგანი უჭირს შედარებით?----------

14. ეხმარებით თუ არა მეცადინეობაში?----------

15. არის თუ არა დაკავებული კლასგარეშე აქტივობებით?(წრეები: ცეკვა, მუსიკა, ხატვა და სხვა)----------

16. როგორ ატარებს თავისუფალ დროს?----------

---

17. რაზე ოცნებობს?----------

18. წახალისების რა ფორმებს მიმართავთ?

ა) ვყიდულობ სათამაშოს:

ბ) ვაძლევ ფულს:

გ) ვეფერები;

ვ) ვაძლევ უფლებას გააკეთოს თავისი საყვარელი საქმიანობა.

19. დასჯის რა ფორმებს იყენებთ?

ა) ფიზიკურად ვეხები;

ბ) სიტყვიერად ვეუბნები;

გ) ვუკრძალავ საყვარელ საქმიანობას;

დ) ვერ ვიყენებ დასჯის მეთოდებს.

20. პრობლემა, რომელსაც აწყდებით მასთან ურთიერთობისას? ----------
-

---

21. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დაგეხმაროთ სკოლა ამ პრობლემის მოგვარებაში?

---

22. თქვენი სურვილები, მოლოდინები, რომელიც გინდათ, რომ გაითვალისწინოს კლასის

დამრიგებელმა მომავალში. ----------

---

23. დამატებით რისი თქმა გსურთ თქვენი შვილის შესახებ?----------

---

დანართი #2 კითხვარი მოსწავლეებისთვის

1. რა მოგწონთ ყველაზე მეტად სკოლაში?

ა) სწავლა;

ბ) მასწავლებელი;

გ) თანატოლებთან ურთიერთობა;

დ) არაფერი

2. რომელი საგანი გიყვარს ყველაზე ძალიან?

ა) ქართული ენა;

ბ) მათემატიკა;

გ) ბუნება;

დ) ინგლისური ენა;

ე) ხელოვნება;

ვ) მუსიკა:

ზ) სპორტი

3. როგორ იქცევი გაკვეთილზე?

ა) დიდხან ვერ ვჩერდები ერთ ადგილზე;.

ბ) ვზივარ წყნარად და ვუსმენ მასწავლებელს;

გ) ვლაპარაკობ მეწყვილესთან;

4. როგორ ერთობი თავისუფალ დროს?

ა) ვზივარ კომპიუტერთან;

ბ) ვთამაშობ ბავშვებთან ერთად;

გ) ვკითხულობ წიგნს;

დ) ვუყურებ მულტფილმს.

5. გაკვეთილზე კარგად ვიქცევი, იმიტომ რომ

ა)მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის გაკვეთილს;

ბ) მასწავლებელი მკაცრია;

გ) ველოდები ჯილდოს;

დ) არ მაინტერესებს და არ ვიქცევი კარგად.

6. როდის იქცევი ცუდად?

ა) როცა ცუდ ხასიათზე ვარ;

ბ) როცა არ მისრულებენ სურვილს;

გ) როცა მაბრაზებენ;

დ) უმიზეზოდ.

7. ოჯახის წევრებიდან უფრო მეტად ვისთან გსიამოვნებს ურთიერთობა და რატომ?-----
---
---

8. ჯილდოს სახით რის მიღება გიხარია ყველაზე მეტად?----------
---

9. ეხმარები თუ არა დედას, მამას და რა საქმიანობაში?----------
---

დანართი # 3 კითხვები ინტერვიუსთვის (მასწავლებლები)

1. რამდენად ხშირად გიწევთ შენიშვნის მიცემა ქცევასთან დაკავშირებით?
2. ყველაზე მეტად ქცევის დარღვევის რომელი შემთხვევებია?
3. რა ხერხს მიმართავ წასახალისებლად?
4. მათ შორის რომელი ხერხი მოქმედებს დადებითად?
5. ასვენებთ თუ არა მოსწავლეებს გაკვეთილზე?
6. იყენებთ თუ არა სახალისო მეთოდებს?

დანართი #4 სურათები

ჩვენ ვიცავთ ქცევის
წესებს!

ქალაქია



რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წელს განვახორციელე კვლევა, რომლის ხანგრძლივობა იყო რვა თვე. პრაქტიკის კვლევის ძირითად თემად ავარჩიე „კლასის მართვის პრობლემები I კლასში და მისი დაძლევის გზების ძიება.”

მასში გამოიკვეთა საკითხები, რომელიც აფერხებს მოსწავლეთა ყურადღებას, გაგებას, აკადემიურ მოსწრებას კლასში. ამ თემის ასარჩევად მიბიძგა იმან, რომ სასაწავლო წლის დასაწყისში პირველკლასელებს გაუჭირდათ ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუება, მერხთან ჯდომა, ყურადღების კონცენტრირება, მოსმენა, უჭირდათ გაგება და ცოდნის დონეც არ იყო შესაბამისი. კვლევის მიზანი იყო გამეცნო მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები, არასასურველი ქცევის გამომწვევი მიზეზები. დამენახა ჩემი როლი და მნიშვნელობა კლასის მართვის და დისციპლინის შენარჩუნების პროცესში. დამენახა რა პრობლემები შეიძლება არსებობდეს კლასში და როგორაა შესაძლებელი მისი აღმოფხვრა. შემექმნა კლასში სასიამოვნო ატმოსფერო, სადაც მოსწავლეები მოტივირებულები იქნებოდნენ, ითანამშრომლებდნენ ერთმანეთთან და შეძლებდნენ კონფლიქტების თავიდან აცილებას.

კვლევის მიმდინარეობისას ვთანამშრომლობდი პედაგოგებთან, რომლებიც ასწავლიდნენ ჩემს კლასს. მათგან ვიღებდი უკუკავშირს, მეგობრულ რჩევებს. კვლევის დასრულების შემდეგ სკოლაში კათედრაზე მქონდა კვლევის პრეზენტაცია, რომლებსაც ესწრებოდნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. კოლეგებს გავაცანი ჩემი კვლევის მიმდინარეობა. ჩემმა ინიციატივამ გამოიწვია პოზიტიური დამოკიდებულება.

ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ აღნიშნა, რომ საკმაოდ რთული იქნებოდა პირველ კლასში კვლევის განხორციელება და ეფექტი დროებითი იქნებოდა, რაზეც მე ვუპასუხე, რომ აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ახალი სასწავლო წლიდან ინტერვენციების განხორციელება. ამ პროცესში ვაპირებ მშობლები უფრო აქტიურად ჩავრთო.

დაწყებითი საფეხურის ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ ის საკუთარ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას განახორციელებს და გაითვალისწინებს ჩემს რჩევებსა და რეკომენდაციებს.

ვფიქრობ, კვლევის დროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება მომავალშიც ვიმუშაო კვლევაზე საკუთარი და ჩემი კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასწავლო გარემოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.